



მიმდინარე წლის გაზაფხულიდან იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს“, მონფალკონეს მუნიციპალიტეტის (იტალია), „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის“ და ქალაქ ქუთაისის თვითმმართველობის მიერ, „ფრიული-ვენეცია ჯულია“ (იტალია) რეგიონის დაფინანსებით ხორციელდება პროექტი „საქართველოსთან პარტნიორობის განვითარების პლატფორმა“, რომელიც მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტებში ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას და იტალიასთან ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

პროექტის საწყის ეტაპზე პროექტის ექსპერტების მიერ ბიზნეს სექტორში არსებული პრობლემატიკის შესწავლის მიზნით განხორციელდა შეხვედრები მუნიციპალიტეტების ბიზნეს სექტორის და სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლებთან, მოკვლეული იქნა სხვადასხვა ექსპერტული და სტატისტიკური ინფორმაცია. შესაბამისად მომზადდა იმერეთის რეგიონის ბიზნესის სექტორის კვლევა და თითოეული მუნიციპალიტეტის მიხედვით SWOT ანალიზი.

კვლევის შედეგების მიხედვით შეიქმნა ბიზნეს-საგანმანათლებლო პროგრამა, ტრენინგ-მოდულები და ბიზნეს პუბლიკაციები. იმერეთის რეგიონის მასშტაბით კომპანიების მესაკუთრეებისათვის, მენეჯერებისათვის, თანამშრომლებისათვის, ახალგაზრდა და ქალი მეწარმეებისთვის ჩატარდა ბიზნეს ტრენინგები.

იმერეთის რეგიონის ბიზნესის წარმომადგენლებისათვის ქ.ქუთაისში ფუნქციონირებს (რუსთაველის №3-ში) ბიზნეს-საინფორმაციო ცენტრი, რომელიც ხელს უწყობს სამეწარმეო სფეროში მომუშავე მოქალაქეებს განავითარონ ბიზნესის მართვის უნარები და ამასთანავე მიიღონ კონკრეტული კონსულტაციები სპეციფიკური პრობლემების გადასაჭრელად.

პროექტის მიმდინარეობისას დაგეგმილია შეიქმნას მონაცემთა ბაზა და მიეწოდოს იტალიურ მხარეს კონკრეტული ბიზნესის წინადადებები რომელიც ხელს შეუწყობს იტალიელი და ქართველი პარტნიორების ბიზნეს ურთიერთობის დამყარებას, გაცვლით ვიზიტებს, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას.

პროექტის ფარგლებში ასევე მომზადდა ადგილობრივი ბიზნეს სექტორის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც სამომავლოდ მიზნად ისახავს პროექტის გაგრძელებას ბიზნეს სექტორების კონკრეტული პრობლემების აღმოსაფხვრელად და მცირე თუ საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას.